საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-1341

10/09/2021

ქ. თბილისი

შპს „კავკასიის სამთო ჯგუფის“ სოფ. ტანძიის მიმდებარედ 35 კვ საჰაერო და საკაბელო ელექტროგადამცემი ხაზისა და 35 კვ ქვესადგურის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების შპს „არ ემ ჯი აურამაინზე“ გადაცემის შესახებ

2021 წლის 1 სექტემბერს სამინისტროს ერთობლივი განცხადებით მომართეს შპს „კავკასიის სამთო ჯგუფისა“ და შპს „არ ემ ჯი აურამაინის“ გენერალურმა დირექტორებმა. შპს „კავკასიის სამთო ჯგუფმა“ ითხოვა მასზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა შპს „არ ემ ჯი აურამაინზე“ და ამ უკანასკნელმა კი ამავე გადაწყვეტილების მიღება.

2017 წელს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს შპს „კავკასიის სამთო ჯგუფის“ სოფ. ტანძიის მიმდებარედ 35 კვ საჰაერო და საკაბელო ელექტროგადამცემი ხაზისა და 35 კვ ქვესადგურის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გაიცა №50 (02.08.2017) ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა. „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, 2021 წლის 25 მაისს გაიცა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის №2-742 ბრძანება „შპს „კავკასიის სამთო ჯგუფის“ სოფ. ტანძიის მიმდებარედ 35 კვ საჰაერო და საკაბელო ელექტროგადამცემი ხაზისა და 35 კვ ქვესადგურის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-15 მუხლის თანახმად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მფლობელი უფლებამოსილია, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება სრულად ან ნაწილობრივ სხვა პირს გადასცეს. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის შესახებ მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საფუძველია გადაწყვეტილების მფლობელისა და მიმღების ერთობლივი განცხადება, ხელშეკრულება ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის ფაქტს. სამინისტრო გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის თაობაზე განცხადებას იხილავს და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულისა და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-15 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შპს „კავკასიის სამთო ჯგუფის“ სოფ. ტანძიის მიმდებარედ 35 კვ საჰაერო და საკაბელო ელექტროგადამცემი ხაზისა და 35 კვ ქვესადგურის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 25 მაისის №2-742 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გადაეცეს შპს „არ ემ ჯი აურამაინს“;
2. შპს „არ ემ ჯი აურამაინმა“ უზრუნველყოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 25 მაისის №2-742 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით დადგენილი პირობების დაცვა;
3. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განხორციელდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
4. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „არ ემ ჯი აურამაინსა“ და შპს „კავკასიის სამთო ჯგუფს“;
5. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „არ ემ ჯი აურამაინისა“ და შპს „კავკასიის სამთო ჯგუფის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
6. ბრძანების გაცემიდან 3 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე- 12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი